

## საქართველოს კანონი

### „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1996 წელი - № 22-23) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება:

1. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

აკრედიტაციის ეროვნული ორგანო ახორციელებს შესაბამისობის შემფასებელი ლაბორატორიების, დაკალიბრების ლაბორატორიების, მეტროლოგიური დამოწმების ლაბორატორიების, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების, ციფრული ხელმოწერის მოწმობის გამცემი პირების, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა, და ფიზიკური პირების აკრედიტაციას.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.